საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კულუხი

კულუხი, გლეხის ვენახზე დაწესებული ფეოდალური გადასახადი იხდიდნენ ღვინით. ***კ***-ს ოდენობა ვენახის ფართობის, მოსავლის ან გლეხის შეძლების მიხედვით მერყეობდა მოსავლის 1/2-იდან 1/10-მდე. აღმ. საქართვ. მთაში კ. ეწოდებოდა ხატ-სალოცავების სახელზე არსებული მიწების სარგებლობისათვის დადგენილ ნატურალურ გადასახადს (საკლავი, სასმელი). მისი რაოდენობა მეკულუხისადმი მიცემული მიწის ნაკვეთის მოცულობით განისაზღვრებოდა. კ-ის გადახდის შემთხვევაში მეკულუხეს ხატის მიწით სარგებლობის უფლება კიდევ ერთი წლით უხანგრძლივდებოდა. „ხატიმიწების“ სარგებლობის უფლება მხოლოდ ხელმოკლე ოჯახებს ეძლეოდათ. მიწის ფეოდალური საკუთრების მოშლასთან ერთად ***კ***-მა არსებობა შეწყვიტა.

ლიტ.: ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ვ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა XIV–XVIII საუკუნეებში, თბ., 2001.